ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01183304441**
თარიღი: **26/11/2018**
პინი: **3708**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 29 ოქტომბრის #60-01183022916 წერილი (AR1640112) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე ბესარიონ გოგუას მომართვის საფუძველზე ქ. თბილისში, სამგორის ჩიხი #5-ში (ს.კ. 01.17.11.008.195)(სზ-1), ქარხნის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ სამსახურმა განიხილა თანდართული დოკუმენტაცია (ტოპო. გეგმა, ფოტო-სურათები) და გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით, ვინაიდან, ტერიტორიაზე მწვანე ნარგავები არ ფიქსირდება.

აქვე, ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ ვინაიდან ტერიტორიაზე იგეგმება III კლასის ობიექტის მშენებლობა, პროექტის შეთანხმების ეტაპზე სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს გამწვანების პროექტი, სადაც განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პირობები: მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონთან მიმართებით, მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით-10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ხისთვის (მაგ. ირმის რქა, პირამიდული კვიპაროსი, ნეკერჩხალი (ლეკა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.

წიწვოვანი ხის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3.5 მეტრი. დარგული ნერგის გარშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 14 სანტიმეტრი.

გასამწვანებელი მცენარეების სახეობები უნდა შეირჩეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან. გამწვანების პროექტში განმცხადებელმა შესაძლებელია გაითვალისწინოს ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებიც.

აქვე გაცნობებთ, რომ შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა, ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის ნარგავებით, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

